ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 19

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2026 წელი

„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21.06.2022, №010250020.35.123.016626), კერძოდ, დადგენილების მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 7.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412767830) მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 55^2, 55^5, 55^6 , 64^2 , 77^1 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 103^2, 107^4 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, 8^2 , 8^3 , მე-12, მე-13, მე-14, მე-16 ნაწილებით, 134^1, 135-ე, 135^1, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5, 152^6, 152^7, 152^8, 152^9 მუხლებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 156^2, 156^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^1 მუხლებით, 166^2 მუხლის პირველი ნაწილით, 172-ე მუხლითა (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1-ელი ივლისიდან.

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ებ უ ლ ო
გას. N. 29
29 06 2026 წ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო